თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 5დეკემბრის სხდომის

ოქმი N 16

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 5დეკემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭებისშესახებ.

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე.ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.
/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

4. მიმდინარესაკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---24

წინააღმდეგი---0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 5დეკემბრის N16 სხდომის დღის წესრიგი.

1. თსუეკონომიკისადაბიზნესისფაკულტეტისკურსდამთავრებულთათვისაკადემიურიხარისხებისმინიჭებისშესახებ.

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე.ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.
/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე. ხარაიშვილი/

3. თსუეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა კითხვარის შესახებ.
/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე.ხარაიშვილი/

4. მიმდინარესაკითხები

მოისმინეს: თსუ კონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური არისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის **დირექტორის** თამარ სულუხიას **წერილი** (N N 23234/29, 28/11/2019) **რომლითაც ითხოვს, რომ ეკონომიკის** საერთაშორისო სკოლის (ესს) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სამაგისტრო პროგრამა დაასრულა ერთმა სტუდენტმა და მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისიდიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2019 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ჯანგველაძე ანა 01017044254

დასასრულის სახით წარმოდგენილია კურსდამთავრებულის შემდეგი დოკუმენტები:

- ჩარიცხვის ბრძანების ასლი
- პირადობის მოწმობის ასლი
- #30 ოქმის ამონაწერი

- გავლილი კურსების ჩამონათვალი
- სასწავლო გეგმა
- კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის დასკვნის ასლი
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ასლი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2019 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომიჩვეულებრივი:

1. ჯანგველაძე ანა 01017044254

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით, (№20133/10, 17.10.2019) თსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოითხოვა 2007 წლის კურსდამთავრებულ გულნაზ ტყეშელაშვილის დიპლომის დანართი.ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წესის შესაბამისად მოამზადა კურსდამთავრებულ გულნაზ ტყეშელაშვილის დიპლომის დანართი, რომელიც დაახარვეზა თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №23156/10, 27.11.2019).

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ გულნაზი ტყეშელაშვილი მეორე სპეციალობის მისაღებად 2004 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების ფასიან განყოფილებაზე - ბრძანება №4/19, 14.01.2004 *(შენიშვნა: თსუ რექტორის ბრძანებიდან №4/19, 14.01.2004 არ დგინდება რომელ კურსზე ჩაირიცხა სტუდენტი. ფაკულტეტზე დამატებით მოიძებნა 2003-2006 წლებში ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების/წარმატებების ჟურნალები, რომლებშიც დაფიქსირებულია გულნაზი ტყეშელაშვილის გვარი. ჟურნალებიდან ჩანს, რომ სტუდენტმა 2004 წლის იანვარში სწავლა დაიწყო აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების III კურსზე).*

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 30 სექტემბრის №1337/01-04 ბრძანებით გულნაზი ტყეშელაშვილს მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით (ბრძანებები №1337/01-04, 30.09.2008; №2080/01-04, 26.12.2008).

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით კურსდამთავრებულ გულნაზ ტყეშელაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ. კერძოდ, მოხდეს, თსუ რექტორის 2008 წლის 30 სექტემბრის №1337/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის (დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური სარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით), კორექტირება შემდეგი დასახელებით (როგორც დიპლომის ასლშია მითითებული) **დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტში.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს გულნაზ ტყეშელაშვილს დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის შესახებ

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე.ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020-2021სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ ანკეტა–კითხვარი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- **ეკონომიკა**- ჩასაბარებელი საგანი მათემატიკა. ადგილების რაოდენობა - 400.
- **ეკონომიკა (ინგლისურენოვანი)** - ჩასაბარებელი საგანი მათემატიკა. ადგილების რაოდენობა - 150.

- **ბიზნესის ადმინისტრირება** - ჩასაბარებელი საგანი მათემატიკა/ისტორია; ადგილების რაოდენობა 400, მათგან ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით - 300, ისტორიის მიხედვით - 100.
- **ტურიზმი** - ჩასაბარებელი საგანი მათემატიკა/ისტორია; ადგილების რაოდენობა 250, მათგან ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით - 25, ისტორიის მიხედვით - 225.

ქ-მაე. ხარაიშვილმასაბჭოსწევრებს, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვითგააცნო მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. გ. ღაღანიძემ.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები:მომხრე – 24

წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარი.

მოისმინეს: პროფესორ ე. მექვაბიშვილის ინფორმაცია სტუდენტთა ,,სწავლის ხელშეწყობის ფონდის" საქმიანობის შესახებ.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, 2020 წლიდან ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) შრომის ანაზღაურების ცვლილების შესახებ.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად

მოისმინეს: პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით მხარი დაეჭირათ მისი ინიციატივისთვის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზეპროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ, რომელიც დაენიშნება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ერთ სტუდენტს.

სტიპენდიის ხარჯებს თავად პროფესორი გიორგი ღაღანიძე გაიღებს.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინიციატივას.

დაადგინეს: დაწესდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზეპროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდია, რომელიც დაენიშნება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ერთ სტუდენტს.

სტიპენდიის ხარჯებს პროფესორი გიორგი ღაღანიძე გაიღებს.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გიორგი ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — მარინა მაისურაძე